ადრესატი:

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**47-47222977**
თარიღი: **24/10/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვლადიმერ სიხარულიძის მიერ 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ჩოხტაურის მუნიციპალიტეტი

____

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ვლადიმერ სიხარულიძე

მაჟორიტარული ოლქის დასახელება -

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი _ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში) პროპორციული, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.

საანგარიშო პერიოდი: 2021წლის დეკემბრიდან 2022 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) -მორიგი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 12

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 12; ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია - 11

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 10; ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია - 8

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)---

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ---

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 13;

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 11

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები - დაბა ჩოხატაურის მტავარი ბიბლიოთეკის შენობის და მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეიმის რეაბილიტაცია; სამხატვრო სკოლისა და სპორტ-დარბაზის სრული რეაბილიტაცია;

სოფელ შუა ამაღლებაში, მხარის საექიმო ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის მშენელობა;

სოფელ შუა ამაღლებაში მთლიანი წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია;

დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში, იდენტიფიცირებული პრობლემების შესასწავლია, მათი გადაწყვეტის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დბულებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხთა განხილვა.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :

1) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

2) .,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

3) „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

4) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“

5) ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

6) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

7) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

8) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

9) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისაა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 9

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -205

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები - ინფრასტრუქტურულ საკითხთა გადაწყვეტა და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები) პრობლემების განხილვა და შესაბამისი გზების ძიება მათ მოსაგვარებლად (რეკომენდაცია, მიმართვა, შუამდგომლობა და ა.შ.).

შუამდგომლობა სხვადასხვა რგოლში და სრული ჩართულობა როგორც პროექტირების ასევე აღსრულების ეტაპზე.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა :

დახმარება გაეწია მძიმე საცხოვრებელ პირობებში და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 2 ოჯახს;

დახმარება გაეწია ხელოვნური კვების პროდუქტების საჭირეობის მქონე და განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირებს (შეტანილი იქნა ცვლილებები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში);

რეკომენდაციები გაეწიათ სხვადასხვა პირებს სოციალური დახმარების მისაღებად, ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან, ასევე, სარეზერვო ფონდიდან.

ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, ვიღებ მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში

ასევე ჩართული ვარ NDI-ის მიმდინარე თანამშრომლობის პროექტში.

ასევე ვარ სამოქალაქო საბჭოს წევრი და ჩართული ვარ განხორციელების ყველა ეტაპზე.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებული შედეგები - 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის გარგლებში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების, უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურების სამუშაოების მოწყობა“, პროექტის მიმდინარეობაზე კონტროლითა და ხელშეწყობით დამთავრდა მოეწყო 3კმ. ბეტონის გზა, ტუალეტები, საპიკნიკე ადგილები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა;

შუა ამაღლებაში ჩატარდა უდაბნოს წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია;

შუა ამაღლებაში (ჯიბლაძეებისა და ბაბულეიშვილების უბანში) რეაბილიტაცია ჩაუტარდა საავტომობილო გზას, მოეწყო 2კმ. ბეტონის საფარი;

ჩატარდა სამუშაოები შუა ამაღლების კულტურის სახლის ეზოს კეთილმოწყობისა და პარკის განაშენიანებისათვის;

დასრულდა შუა ამაღლების საშუალო სკოლის სპორტ-დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ :

ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

ანგარიშის მომზადების თარიღი : 21.10 2022

ანგარიშის წარდგენის თარიღი 21.10.2022

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე